



№ 11/CIRC/FSI

10 / მაისი / 2022 წ.

საქართველოს დროებით მცურავი გემების  
მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს,  
ალიარებულ ორგანიზაციებს, ალიარებულ აგენტებს,  
საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურს.

ასლი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო  
დაცვის დეპარტამენტს

**შინაარსი:** ამერიკის შტატ დელავერის გემების რეგისტრაციის უწყების მიერ გაცემული მცურავი საშუალებების  
რეგისტრაციის მოწმობების შესახებ

**მითითება:**

**ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის 2016 წლის 16 მაისის ცირკულარი 16711/SERIAL No 1300**

**1. მიზანი:**

1.1 ცირკულარის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის, 2016 წლის 16 მაისის ცირკულარში  
(16711/SERIAL No 1300) მოცემული ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეხება დელავერის შტატის, თევზისა და  
ველური ბუნების სამმართველოს, გემების რეგისტრაციის უწყების (Delawer Division of Fish & Wildlife, Boat Registration  
office) მიერ გაცემულ მცურავი საშუალებების რეგისტრაციის მოწმობების მოქმედების არეალსა და მოთხოვნებს.

**2. ინფორმაცია:**

2.1 საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობს მცურავი ზოგიერთი საშუალება რომელიც დარეგისტრირებულია  
აშშ, დელავერის შტატის ზემოთ აღნიშნული უწყების მიერ, ამასთან მცურავი საშუალებები ფლობენ გემების  
რეგისტრაციის სერტიფიკატს (Boat Registration Certificate).

2.2 აღნიშნული სერტიფიკატი არ არის საკმარისი საერთაშორისო ნაოსნობაში კომერციული საქმიანობისა და  
ჩარტერული სერვისებისთვის. პირველ რიგში, უნდა გამოვლინდეს ყველა ის მცურავი საშუალება, რომელიც  
არაკანონიერ საქმიანობას ეწევა (ჩართულია კომერციულ თუ ჩარტერულ საქმიანობაში) და მხოლოდ ამის შემდგომ  
იქნას მიღებული შესაბამისი ზომები პასუხისმგებელ პირების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან საერთაშორისო  
ნაოსნობაში.

2.3 აშშ მხარე თხოვს ყველა ქვეყანას მათ ტერიტორიულ წყლებში ასეთი მცურავი საშუალებების აღმოჩენის  
შემთხვევაში გამოიყენოს "Code 17", ან დააყოვნდეს მცურავი საშუალება დაპატიმრების ნაცვლად, მანამ სანამ არ  
აღმოიფხვრება ეს პრობლემა და დაუყოვნებლივ ეცნობოს აშშ მხარეს.

### 3.3 დელავერის შტატის გემების რეგისტრაციის უწყების მიერ მცურავი საშუალებების რეგისტრაციის მონშობების გაცემის წესები და უფლებები:

3.1 გემები, რომლებიც ფლობენ აშშ რომელიმე შტატის მიერ გაცემულ რეგისტრაციის სერტიფიკატს აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ ამერიკის ტერიტორიულ წყლებში სერტიფიკატის გაცემიდან ერთი წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერტიფიკატი უქმდება.

3.2 ნებისმიერ გემს, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ნაოსნობაში (ახორციელებს, ვაჭრობას, მგზავრთა გადაყვანას, ჩარტერულ რეისებს და სხვა) დამატებით მოეთხოვება ამერიკის სანაპირო დაცვის მიერ გაცემული სერტიფიკატი (COD), რადგან მხოლოდ რომელიმე შტატის მიერ გაცემული სარეგისტრაციო მონშობა არ არის საკმარისი საერთაშორისო ნაოსნობისთვის. ამასთან, საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემები ასევე უნდა ფლობდნენ საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად სავალდებულო საერთაშორისო სერტიფიკატებს (Statutory Certificates).

3.3 მხოლოდ ამერიკის ფედერალური სააგენტოები, ამერიკის სანაპირო დაცვა, ამერიკის ფედერალური კომუნიკაციების კომისია (FCC) და გარემოს დაცვის სააგენტო (EPA) არიან უფლებამოსილი იმოქმედონ როგორც დროშის ადმინისტრაციამ, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებისა და ინსტრუმენტების გათვალისწინებით. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენენ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოებები, რომლებმაც შეიძლება მოხდეს ამ უფლებამოსილების დელეგირება ამერიკის სანაპირო დაცვის ან ფედერალური კომუნიკაციების კომისიის მიერ.

### 4. გემთმფლობელის ვალდებულება:

4.1 მცურავი საშუალებები, რომლებიც ნაოსნობენ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში დელავერის შტატის გემების რეგისტრაციის უწყების მიერ გაცემულ მონშობებით (Boat Registration Certificate) და ჩართულნი არიან სხვადასხვა საზღვაო აქტივობებში, ეკისრებათ ვალდებულება დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის, 2016 წლის 16 მაისის ცირკულარში (16711/SERIAL No 1300) აღნიშნული მოთხოვნები. (იხილეთ დანართი)


4.2 საქართველოს საზღვაო კოდექსის და საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად, გემთმფლობელი ვალდებულია სრულყოფილად შეასრულოს გემთაღნიშნული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში გატარდება კანონით განსაზღვრული ღონისძიებები და ინფორმაცია გადაეცემა აშშ მხარეს შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად დამრღვევი მცურავი საშუალებების შესახებ.

### 5. კონსულტაცია, დამატებითი კითხვები:

5.1 დამატებით კითხვებისთვის და კონსულტაციისათვის მიმართეთ სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტს.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო  
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტი  
ტელ: +995 (422) 274925  
ელ-ფოსტა: [fsi@mta.gov.ge](mailto:fsi@mta.gov.ge)  
ცხელი ხაზი : +995 (577) 221622

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამდასმულია  
ელემენტარულად 

თამარ იოსელიანი

